

ქმედითი ანტიდისკრიმინაციული მექანიზმის შექმნა - ქართული და  
საერთაშორისო კანონმდებლობა და პრაქტიკა

ნათია შონია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამართლის სკოლის საჯარო სამართლისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის  
ფარგლებში*

*საჯარო სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ გურჩიანი, სამართლის სკოლის ასოცირებული  
პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი, როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია შონია

30.06.2019

## აბსტრაქტი

დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა შესაძლებელია მხოლოდ ისეთი სამართლებრივი მექანიზმებით, რომელთაც რეალური, ქმედითი ხასიათი აქვთ და ისეთი აღსრულების მექანიზმებით, რომელთა გამოყენებაც ეფექტურად გამოავლენს დისკრიმინაციის ფაქტებს და მოკლე დროში მოახდენს მათზე რეაგირებას და ასევე მათ აღკვეთას. მხოლოდ კანონის მიღება ვერ იქნება ქვეყანაში თანასწორობის უფლების განმტკიცების გარანტი. კანონში არსებულ ქმედით აღსრულების მექანიზმებთან ერთად, საჭიროა პირველ რიგში, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და ასევე კანონის დანაწესების ისე შედგენა, რომ იგი სრულად იყოს გასაგები მისი ადრესატებისთვის. პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ წლიდან წლამდე დისკრიმინაციის მდგომარეობა არ უმჯობესდება საქართველოში, ისევ არსებობენ საზოგადოების გარკვეული კატეგორიები, რომლებიც პირდაპირ ახდენენ სხვადასხვა ჯგუფის დისკრიმინაციას, საზოგადოებას მოუწოდებენ აგრესიისაკენ და ამ ჯგუფების უფლებების დარღვევისაკენ. ასევე, შრომით ურთიერთობაში დისკრიმინაციის ფაქტების რაოდენობა მაღალია, კერძო სექტორი ისევ უგულბელებოფს სახალხო დამცველის რეკომენდაციებს/ზოგად წინადადებებს, რომელთაც ჰგონიათ, რომ კანონი მხოლოდ საჯარო სექტორისთვის შეიქმნა.

ნაშრომის მთავარი მიზანია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული ხარვეზების წარმოჩენა, რომლის ფარგლებშიც განხილულია, საქართველოში კანონის მიღების შემდგომი პერიოდი, განხილულია სხვადასხვა ქვეყნის ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა და პრაქტიკა, რომელთა გაანალიზებით მოცემულია ის რეკომენდაციები, რომლებიც კანონს გახდის უფრო ქმედითს და ეფექტურს. ასევე ნაშრომის ფარგლებში წარმოჩენილია კანონის ისეთი ჩანაწერები, რომელთა მნიშვნელობა ძალიან დიდია დისკრიმინაციასთან ბრძოლის საკითხში, თუმცა მის აღმოსაფხვრელად კანონის ეს ჩანაწერებიც საჭიროებს ცვლილებებსა და დახვეწას.

## **Abstract**

Battle against discrimination is only possible through such legal instruments, which have a realistic, effectual character and with such enforcement mechanisms, implementation of which will effectively expose the facts of discrimination and will react and preclude the latter within a short time. Only the adoption of the law cannot be sufficient guarantee of reinforcement of equality right within a country. Along with the effective enforcement mechanisms provided for by the law, first of all it is necessary to raise the awareness of a society and also to compose the provisions of the law in such a way, that they are fully understandable for its addressees. Practice shows that year to year, the status of discrimination is not improving in Georgia, there are still certain categories of the society, that directly discriminate various groups, agitate the society towards aggression and the violation of the rights of these groups. Further, there is a high rate of discrimination facts within the labor relationships, the private sector still ignores the recommendations/general propositions of the Public Defender, thinking that the law has only been adopted for the public sector.

The primary objective of the forgoing work is to expose the errors contained in the Law of Georgia on Elimination of All Forms of Discrimination, within the scope of which, it reviews the period following the adoption of the Law, discusses the anti-discrimination legislation and practice of different countries, through the analysis of which it provides the recommendations, which shall make the law more impactful and effective. Moreover, within this work, there are demonstrated such provisions of the law, the importance of which are very high in battling the discrimination, but in order to fully eliminate the latter, these provisions too require amendment and relevant improvements.